

სადირექციო წერა მათემატიკაში

08.04. 2025 წელი

X კლასი

1. ცნობილია, რომ $x \in [\alpha; \beta]$ შუალედში $\cos x$ და $\sin x$ ფუნქციებიდან ორივე ზრდადია, დადებითია თუ უარყოფითი ამ შუალედში $f(x) = \sin 2x$ ფუნქცია? (პასუხი მსჯელობით დაასაბუთე)
2. იპოვეთ $f(x) = \cos x$ ფუნქციის განსაზღვრის არის შუალედის მინიმალური სიგრძე, რომელზეც $f(x)$ ფუნქცია 4-ჯერ მიიღებს $\frac{1}{2}$ -ის ტოლ მნიშვნელობას.
3. ცნობილია, რომ $\arccos x - \arcsin x = \frac{\pi}{6}$, იპოვეთ x .
4. ამოხსენით განტოლება: $1 - \sin 2x = (4 - 2\sqrt{3}) \cos^2 x$.
5. ამოხსენით უტოლობა: $\cos x + \cos 3x < 0$, პასუხში მიუთითეთ მხოლოდ $x \in [0; 2\pi]$ შუალედში მოთავსებული ამონახსნი.
6. ტოლგვერდა ABC სამკუთხედის BC გვერდი α სიბრტყეში მდებარეობს, ხოლო A წერტილი ამ სიბრტყიდან 3 სმ-ითაა დაშორებული. იპოვეთ სამკუთხედის სიბრტყესა და α სიბრტყეს შორის მდებარე ორწახნაგა კუთხის კოსინუსი, თუ ABC სამკუთხედის გვერდი 4 სმ-ია.
7. A წერტილიდან α სიბრტყისადმი გავლებულია $AB=17$ სმ და $AC=25$ სმ-ის ტოლი დახრილები, BC მონაკვეთის სიგრძე 28 სმ-ია, იპოვეთ α სიბრტყეზე ABC სამკუთხედის გეგმილის ფართობი, თუ თავად A წერტილი α სიბრტყიდან 9 სმ-ითაა დაშორებული.
8. α და β სიბრტყეები α წრფეზე იკვეთებიან, მათ შორის მდებარე ფ ორწახნაგა კუთხის გრადუსული ზომა 60° – ია, α სიბრტყეში მდებარე A წერტილი და β სიბრტყეში მდებარე B წერტილი α წრფიდან 10 სმ-ის ტოლი მანძილით არიან დაშორებულები, $AB=14$ სმ, იპოვეთ AB წრფესა და α სიბრტყეს შორის მდებარე კუთხის კოსინუსი.